სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის მარიამ ოზიაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**24**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**91**	**100**

ირაკლი ბონდარენკო:

თარიღი: 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის მარიამ ოზიაშვილის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულების საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს საერთო სასამართლოებში 38 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით.

კონკურსის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ **მარიამ ოზიაშვილის** შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტებით.

კანდიდატს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი), სპეციალობით მუშაობის 12 წლიანი გამოცდილება.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კანდიდატი შევაფასე სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შეფასებისთვის ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი პიროვნული დ პროფესიული თვისებების გათვალისწინებით.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება; პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა; მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

1.1. **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის** მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის როგორც მოქალაქის – კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის პატიოსნება, შესაბამისი

შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მარიამ ოზიაშვილს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ როგორც შრომისმოყვარე, ბეჯითი, კომპეტენტურ, მიზანდასახულ, მშვიდ, დინჯ და გაწონასწორებულ პიროვნებას. გამორჩეულად აღნიშნავენ მისი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას და საქმისადმი სიყვარულს.
გამოკითხულთაგან ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად მიუთითებს მისი აკადემიური მიღწევების განვითარების საჭიროებას. ასევე, ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუტედ და ნაკლოვანებად ასახელებს ზოგიერთ შემთხვევაში მის მეტისმეტად მაღალ ცნობისმოყვარეობას და საქმის გარემოებების იმაზე მეტად და ღრმად შესწავლის სურვილს, ვიდრე ამას შესაძლოა კონკრეტული საკითხი მოითხოვდეს. ასევე, მიუთითებს, რომ კანდიდატს ზოგჯერ გამოსავლის ძებნაში ახასიათებს პრობლემაზე ჩაციკვლა.

კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება (საცხოვრებელი სახლი 240 კვ.მ ქ. თბილისი), უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოთხი ფაქტი. დაკისრებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი, ჯარიმა რომელიც გადახდილია დროულად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ შედგენილია სამართალდარღვევის ერთი ელექტრონული ქვითარი, რომელიც გადახდილია დროულად

1. **2.დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით მარიამ ოზიაშვილი არის სამართლიანი, პრინციპული და უკომპრომისო. კონტროლს უწევს ემოციურ მდგომარეობას, თავს არიდებს და დისტანცირებს ისეთი ურთიერთობებისაგან, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს ვინმეს მიმართ დამოკიდებული მდგომარეობა, ახასიათებს პრობლემის არსში ღრმა წვდომა, საქმის მასალების საფუძვლიანი შესწავლა და კრიტიკის უნარი. კანდიდატი

მოსაზრების გამოთქმისას ემყარება ობიექტურად მოძიებულ ინფორმაციას და აფასებს სამართლებრივად.

კანდიდატი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

1.3.პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება. კანდიდატის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იძებნება. ასევე სასამართლო დავაში მხარედ მონაწილეობა არ მიუღია.

რესპოდენტების შეფასებით, კანდიდატი გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობით, საკითხის ღრმა შესწავლით, კოლეგიალობით. არ არის კონფლიქტური, არის გაწონასწორებული, მშვიდი, გონებაგახსნილი ადამიანი. განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს კორექტულად, პატივს სცემს მოწინააღმდეგე მხარის აზრს.

1.4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი, მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში.

კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. იგი კოლექტივში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით, სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით, სამართლებრივ საკითხებზე გამოთქმული აზრი კოლეგებისათვის არის საინტერესო. აქვს თავისი აზრის დაცვის და დარწმუნების უნარი, არის ყურადღებიანი და თვითკრიტიკული. მარიამ ოსიაშვილს შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული.

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე სრულად დადებითად. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ მარიამ ოსიაშვილი **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კრიტერიუმით საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი შემდეგი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე, აგრეთვე, კანდიდატის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სიღრმისეული თეორიული ცოდნა, კარგად აქვს შესწავლილი როგორც მატერიალური ისე საპროცესო კანონმდებლობა. გამოირჩევა შესრულებული სამუშაოს ხარისხით, მრავალმხრივი თეორიული ცოდნით, მაღალ დონეზე ფლობს უზენაესი სასამართლოს და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, გამუდმებით მუშაობს პროფესიული დონის ასამაღლებლად, ახდენს თეორიული ცოდნის იმპლემენტაციას პრაქტიკულ საქმიანობაში.

მარიამ ოზიაშვილთან გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს, საპროცესო კანონმდებლობას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და ადამიანის უფლებებს. კანდიდატი ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენაზე სწორად განმარტა დასმული შეკითხვების დროს წამოჭრილი სამართლებრივი საკითხები.

აღსანიშნავია, რომ მარიამ ოზიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (მიღებული ქულა - 79/17). ვინაიდან კანდიდატი მოსამართლეობის გამოცდილების არმქონე, მხედველობაში მიიღება იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასება, რომელიც დადებითია.

სკოლის შეფასებით, კანდიდატს გააჩნია ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. სამართლებრივი დასკვნები გამართულია და აზრი გასაგებად ჩამოყალიბებულია. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების და განჩინებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. დასაბუთებულია უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით, საჭიროების შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მარიამ ოზიაშვილს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **25 ქულიდან 24 ქულა.**

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატს გააჩნია კარგი თეორიული ცოდნა, მაღალ დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მეტწილად ზუსტად ასრულებს დაკისრებულ სამუშაოებს/მოვალეობებს, იშვიათად უშვებს შეცდომებს. გონივრულ დროში შეუძლია საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების ამოხსნა, ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შემოწმების შემდეგ, გონივრულ დროში იღებს ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. კანდიდატი თავის გადაწყვეტილებებში არის სწრაფი და დამაჯერებელი. დასაბუთებულია უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით, საჭიროების შემთხვევაში. მსჯელობს ლოგიკურად, აზრს ნათლად და მკაფიოდ გადმოსცემს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ, მარიამ ოზიაშვილს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **25 ქულიდან 23 ქულა.**

2.3. წერის უნარის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

გამოკითხული პირები უთითებენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა ზეპირი კომუნიკაციისა და წერის მაღალი კულტურით, მაღალი ინტელექტით. მას გააჩნია დავის მთავარი საკითხის დანახვის და გადაჭრის დამაჯერებელი გადაჭრის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის დროს არის ყურადღებიანი და თავშეკავებული, იცავს ეთიკურ ნორმებს, გამართულად მეტყველებს, გააჩნია განსვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, არის მედეგი და წვრნაზე ორიენტირებული. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს, კანდიდატის მიმართ კვალიფიკაციისათვის, წერის უნარის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის გასაუმჯობესელად მითითება არ დაუფიქსირებია.

კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. კანდიდატის წერის უნარს რაც შეეხება, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, იგი აზრს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად. ტექსტი არის გამართული და დაინტერესებული პირებისათვის არ არის რთულად აღქმადი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით მარიამ ოზიაშვილს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 18 ქულა.**

2.4.პროფესიული თვისებების ქცევის, მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

რეკომენდატორები მარიამ ოზიაშვილს ახასიათებენ კომპეტენტურ, შრომისმოყვარე, თავმდაბალ, პუნქტუალურ, მიზანდასახულ, კეთილსინდისიერ, მედეგ, სამართლიან და წვრთნაზე ორიენტირებულ პიროვნებად. მიუთითებენ, რომ კანდიდატს გააჩნია დიდი სამუშაოს ეფექტურად დაძლევის უნარი. კანდიდატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება საქმის ყოველმხრივ გამოკვლევას, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გამოყენებას და განმარტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით მარიამ ოზიაშვილი უნდა შეფასდეს განსაზღვრული მაქსიმალური **15 ქულიდან 14 ქულით.**

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

მარიამ ოზიაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორისაა: საგადასახადო სამართლის რიგი საკითხები - EU4justice, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2020წ.;
სახელმწიფო პასუხისმგებლობა - IRZ (გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი, 2019წ.;
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაცია - USAID, PROLOG, EU4justice, 2019 წ. და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, მარიამ ოზიაშვილს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **10 ქულიდან 8 ქულა.**

2.6. პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მარიამ ოზიაშვილი არ ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს სტატია - „კანონის ცოდნის პრეზუმფცია ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში მონაწილე კერძო პირებთან მიმართებით" - საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო - პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" (N2(78)23.

მარიამ ოზიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა; მოსამართლის თანაშემწის გამოცდა და გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი; ასევე „საქართველოს იურისტთა უმაღლეს სკოლაში" გაიარა სასწავლო კურსი, სანოტარო სამართალში. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის სასწავლო ცენტრში მონაწილეობდა და წარმატებით დაასრულა დისტანციური სწავლება ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი; ტრენინგ ცენტრში სამართლის აკადემიაში წარმატებით გაიარა საკონსტიტუციო სამართლის კურსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, მარიამ ოზიაშვილი უნდა შეფასდეს მაქსიმალური **5 ქულიდან 4 ქულით.**

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

მარიამ ოზიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს ვაფასებ **91 ქულით, რაც მაქსიმალურ ქულათა ჯამის (100 ქულა) 91%-ს შეადგენს.**

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

09.12.2024 წელი